

**საქართველოს პარლამენტის დადგენილება
საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობიდან
გამოსვლის მიზანშეწონილობის თაობაზე**

საქართველოს პარლამენტი აღნიშნავს, რომ:

საქართველოს დსთ-ში შესვლა გამოწვეული იყო რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევის შედეგად;

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობამ ვერ უზრუნველყო მისი ეგიდით ხელმოწერილი ეკონომიკური, სოციალური და სხვა შეთანხმებების რეალური ამოქმედება და დაცვა;

საქართველოს კონფლიქტურ მონებში დსთ-ის ეგიდით განხორციელებული ყველა სამშვიდობო მისია რეალურად სეპარატისტული რეჟიმების შენარჩუნებას უზრუნველყოფს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტი აღგენს:

1. მიზანშეუწონლად ჩაითვალოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში საქართველოს წევრობა;
2. ეთხოვოს საქართველოს პრეზიდენტს, 2007 წლის 1 დეკემბრამდე საქართველოს პარლამენტს წარმოუდგინოს წინადადებები შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებების შეწყვეტის შესახებ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე
ნინო ბურჯანაძე

თბილისი,
2007 წლის ... ოქტომბერი